

მემორანდუმი

ა(ა)იპ ქალთა საინფორმაციო ცენტრსა

და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს

შორის

ქ. თბილისი

„2“ „აპრილი“ 2015 წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ქალთა საინფორმაციო ცენტრი წარმოდგენილი მისი დირექტორის, ელენე რუსეცკაიას სახით და მეორე მხრივ, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი რექტორის თეონა ხუფენიას სახით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მემორანდუმის არსი:

ქალთა საინფორმაციო ცენტრის გამოცემების, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გავრცელება, გენდერული თანასწორობის საკითხებზე უნივერსიტეტში ტრენინგებისა და ლექციების მოწყობა, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა პრაქტიკა გაიარონ ორგანიზაციაში.

2. პროექტის მიზანი:

პროექტის მიზანია:

2.1. სტუდენტებისათვის კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალების როლის შესახებ ინფორმაციის, გენდერის და ძირითადი ცნებების უკეთ გაცნობა.

2.2. სტუდენტთა ინფორმირება მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის თაობაზე.

2.3. სტუდენტებისთვის იმ მექანიზმების გაცნობა, რომელიც არსებობს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

3.1. ქალთა საინფორმაციო ცენტრი:

3.1.1. ორგანიზაციაში დასრულებული და მიმდინარე პროექტების ფარგლებში გამოცემული პუბლიკაციების სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გავრცელება.

3.1.2. გენდერული თანასწორობის, გენდერის რაობის და ძირითადი ცნებების შესახებ ტრენინგების და ლექციების ჩატარება.

3.1.3. შესაძლებლობის ფარგლებში, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შერჩეული ორი (2) სტუდენტის პრაქტიკის გავლას პროფილის შესაბამისად (ვადა განისაზღვრება ინდივიდუალურად) უზრუნველყოფს.

3.2. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:


3.2.1. ორგანიზაციაში პრაქტიკის გასავლელად შეარჩიოს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები.

3.2.2. აუცილებლობის შემთხვევაში ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგებისა და ლექციებისთვის შეარჩიოს მომხსენებლები.

4. მემორანდუმის მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები:

4.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან;

4.2. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების პერიოდი განსაზღვრება ერთი (1) წლის ვადით;

4.3. მემორანდუმის მოქმედების დაწყების თარიღია 2015 წლის .

5. მემორანდუმის შეჩერება ან ვადამდე შეწყვეტა:

5.1. მემორანდუმის შეჩერება ან ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

6. მემორანდუმის დამატებითი პირობები:

6.1. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორ) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. თითოეულ მხარეს მიეცემა მემორანდუმის თითო ეგზემპლარი.

6.2. წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას.

6.3. საკითხები, რომლებიც წარმოიქმნება წინამდებარე მემორანდუმის მხარეებს შორის და რომელთა რეგულირებაც არ არის მოცემული მემორანდუმში, გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

6.4. მემორანდუმში ყველა ცვლილება და დამატება გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

შოთა მესხიას ზუგდიდის

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

